Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№25, ივლისი, 2023

რუსეთის მოქალაქეთა მიგრაციის გაშუქების სპეციფიკა ქართულ ტელემედიაში

სალომე კაიშაური

მარიამ მათიაშვილი

პოლიტიკის მეცნიერებისა და ჟურნალისტიკის მიმართულება

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: Salome.kaishauri646@sps.tsu.edu.ge

E-mail: Matiashvili2003@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველოში რუსეთის მოქალაქეთა მიგრაცია საკმაოდ აქტუალური საკითხი გახდა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისას, თუმცა ის დღესაც არ კარგავს აქტუალობას. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2023 წლის პირველ კვარტალში საქართველოში უცხოეთის 1,1 მლნ მოქალაქე შემოვიდა, მათგან ყველაზე მეტმა - 298 ათასმა ადამიანმა რუსეთიდან გადმოკვეთა საზღვარი, რაც წლიურად სამჯერ გაზრდილი მაჩვენებელია. რუსეთის მოქალაქეების ეს ნაკადი პანდემიამდელ, ანუ 2019 წლის მაჩვენებლებსაც აღემატება და 5%-ით აჭარბებს (ბიზნესმედია, 2019).

საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ტოლერანტობითა და შემწყნარებლობით. საუკუნეების განმავლობაში აქ მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა ერის თუ რელიგიის წარმომადგენლები. ბოლო ერთი წლის განმავლობაში გახშირებულმა რუსულმა მიგრაციამ ეს უკანასკნელი მოვლენა სხვა კუთხით გვაჩვენა. ომი 2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო, რამაც უდიდესი გავლენა იქონია საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებზე, მის ეკონომიკურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ მდგომარეობაზე.

უნდა ითქვას, რომ რუსულ-უკრაინული ომით გამოწვეულმა კრიზისმა, თავისი ლოგიკური გავლენა იქონია რუსული მიგრაციის გააქტიურებაზე. IDFI-ს კვლევის მიხედვით, 2022 წლის მარტი-ივნისის მონაცემებით, საქართველოში დარჩა 64,742 რუსეთისა და ბელარუსიის მოქალაქე ეს მონაცემები დროთა განმავლობაში იზრდებოდა. თიბისი კაპიტალის ინფორმაციით, საქართველოში, 2022 წლის მსგავსად, 2023 წელსაც რუსეთის 115 000 მოქალაქე იმყოფება. შესაბამისად, არ ცხრება ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მიგრაციის გაშუქების თავისებურებათა შესწავლა. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს დავადგინოთ, შეინიშნება თუ არა ხარვეზები და დარღვევები მედიაეთიკის თვალსაზრისით; აისახება თუ არა მედიის პოლარიზება ამ საკითხის გაშუქებისას; რა მესიჯები იკვეთება სამ ქართულ ტელეარხში - საზოგადოებრივი მაუწყებელი, „იმედი“, „ფორმულა“ - რუსების მიგრაციის საკითხების გაშუქებისას; კვლევის პროცესში აგრეთვე დავაკვირდით, თუ რა ხარვეზები იკვეთება რუსეთის მოქალაქეების აქტიური მიგრაციის გაშუქებისას ქართულ ტელემედიებში. აღნიშნულ კვლევაში გავაანალიზებთ მოძიებულ ლიტერატურას, მთავარ ტენდენციებსა და წესებს, რომელიც დაცული უნდა იქნას მიგრაციის გაშუქებისას და ამ კრიტერიუმების მიხედვით, განვიხილავთ, თუ რამდენად პირნათლადაა დაცული ის ზემოთ აღნიშნულ ქართულ ტელეარხებში.

საკვანძო სიტყვები: მედიის პოლარიზება, მიგრაცია, ხარვეზები, ტენდენცია, ომი.

შესავალი

ჩვენს კვლევაში მხოლოდ ტელეარხების არჩევის მიზეზი ისაა, რომ საქართველოში ტელევიზია საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მთავარი წყაროა. NDI-ის მიერ 2021 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოსახლეობის გამოკითხულთა 57%-მა ინფორმაციის მიღების პირველწყაროდ ტელემედია დაასახელა (NDI, 2021). ამავე კვლევის მიხედვით, „2022 წლის მარტი-ივნისის პერიოდში ქვეყანაში დარჩა შემოსული რუსეთის მოქალაქეების 18%, უკრაინის მოქალაქეების 20%, ხოლო ბელარუსის მოქალაქეების 28%.“ (NDI, 2022). მოცემული სტატისტიკა, როგორც აღნიშნულია, მარტი-ივნისისაა, ჩვენი საკვლევი პერიოდი კი სექტემბერ-დეკემბერს მოიცავს, თუმცაღა სექტემბერში ამ საკითხის აქტუალობას სხვა მიზეზი ჰქონდა, მარტში კი - სხვა, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ.

თითოეული საკითხის გაშუქებას თავისი წესები აქვს, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას დაცული, რათა მაყურებლამდე მივიდეს ობიექტური, სუბიექტურობისგან დაცლილი ინფორმაცია, ფაქტები გადმოცემული იყოს ზუსტად ისე, როგორც არის და დაცლილი იყოს ინტერპრეტაციებისგან. სწორედ აქედან გამომდინარე, საინტერესოა, თუ როგორ აშუქებს ჩვენ მიერ არჩეული მედია ამ საკითხს, როგორ მიაქვთ მაყურებლამდე, რა ტენდენცია იკვეთება და აღინიშნება თუ არა დარღვევები.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის ჩასატარებლად მოვიძიეთ, დავამუშავეთ არსებული ლიტერატურა და ამის საფუძველზე განვიხილეთ კონკრეტული შემთხვევები. იმისათვის, რომ შეგვეფასებინა აღნიშნული ტელეარხების მიერ გაშუქებული ჟურნალისტური მასალა, გამოვიყენეთ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) გზამკვლევი - „გზამკვლევი ჟურნალისტიკის სტუდენტებისა და მედიისთვის: როგორ გავაშუქოთ მიგრაცია და მიგრანტები?“. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოს - „მიგრაციის გაშუქება - ჟურნალისტის სახელმძღვანელო მიგრაციის გაშუქებისთვის“ დახმარებით, შევძელით, გაგვეანალიზებინა სიუჟეტებში/ლაივებში არსებული ნიუანსები, გამოგვეყო ტენდენციები და ხარვეზი. ასევე, გამოვიყენეთ UNHCR-ს მიერ შექმნილი გზამკვლევი ჟურნალისტებისთვის - „REPORTING ON MIGRATION AND REFUGEES“. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ მოძიებულ და განხილულ ლიტერატურაში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი წესი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას დაცული მიგრაციის გაშუქებისას. კერძოდ, ჟურნალისტის სახელმძღვანელოში მიგრაციის გაშუქებასთან დაკავშირებით, გამოკვეთილია რამდენიმე ფაქტორი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული:

- **ხომ არ სცდება გაშუქება დადგენილ ფარგლებს (მაგ.: უსაფრთხოების ან ეკონომიკის რისკების კუთხით) და გადმოსცემს თუ არა იგი მთლიან ამბავს?**
- **ამბის საერთო აზრი, ზოგადად, უარყოფითია, დადებითი თუ ნეიტრალური? გამოხატავს მის სირთულეს? ან შესაძლებელია თუ არა რაიმეს დამატება?**

- **გაანალიზდა თუ არა საკითხი „იმიგრაციის“ მიღმა იმ ძირითად სიუჟეტებში, რომლებშიც ადამიანები იყვნენ ჩართულნი?** („მიგრაციის გაშუქება“).

აგრეთვე, ტომ კენტმა, Associated Press-ის სტანდარტების ყოფილმა რედაქტორმა და რადიო თავისუფალი ევროპის/რადიო თავისუფლების ახლად დანიშნულმა პრეზიდენტმა, EJN-ს მითითებების შესახებ, თქვა:

„ხუთი პუნქტი გთავაზობთ შესანიშნავ რჩევებს მიგრაციის საკითხების ეთიკური, პროფესიული და ზუსტი გაშუქებისთვის“. ხუთპუნქტიანი გაიდლაინები მოგვიწოდებს შემდეგს:

1. ფაქტები, არა მიკერძოებული

- ვართ თუ არა ზუსტი და არა მიუკერძოებელი, ინკლუზიური და ფაქტებზე დაფუძნებული ჩვენს მოხსენებაში?
- ვმოქმედებთ თუ არა დამოუკიდებლად ნარატივისაგან, რომელიც მომდინარეობს პოლიტიკიდან და ემოციებიდან და არა ფაქტებიდან?
- სამართლიანად და გამჭვირვალედ ვახსენებთ თუ არა მიგრაციის გავლენას თემებზე?

2. იცოდე კანონი

- თავშესაფრის მაძებარი? ლტოლვილი? ტრეფიკინგის მსხვერპლი? მიგრანტი მუშაკი? ვიყენებთ არალეგალურ მიგრანტებს? სწორად გვესმის და ვიყენებთ თუ არა მიგრანტების განმარტებებს და ვუცხადებთ თუ არა ჩვენს აუდიტორიას იმ უფლებებს, რომლებიც მიგრანტებს ეკისრებათ საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად?

3. აჩვენე ჰუმანურობა

- ადამიანობა არის ეთიკური ჟურნალისტიკის არსი. მაგრამ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ემოციები, თავიდან ავიცილოთ ვიქტიმიზაცია, მეტი გამარტივება და გაშუქების ჩარჩო ვიწრო ჰუმანიტარულ კონტექსტში, რომელიც არ ითვალისწინებს უფრო დიდ სურათს.

4. ილაპარაკე ყველასთვის

- გვაქვს მიგრანტების ხმები? ვუსმენთ თემებს, რომლებშიც ისინი გადიან ან უერთდებიან? იკითხეთ, რამდენად წარმომადგენლობითი არიან თვითდანიშნული თემი და მიგრანტების წარმომადგენლები.

5. სიძულვილის გამოწვევა

- თავიდან ავიცილებთ თუ არა ექსტრემიზმს? გამოვყავით დრო, რომ ვიმსჯელოთ, შეიძლება გამოიწვიოს თუ არა სიძულვილის მიზეზი მიგრანტების ან მათ შესახებ, ვინც მიგრაციის შეზღუდვას ცდილობს? ისეთ სიტყვებს, როგორიც არის „swarms“, „წყალდიდობა“ და

„ტალღები“, სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული. („Five-point guide for migration reporting, 2016“)

ჩვენ ჩავატარეთ სამი ტელეარხის მონიტორინგი, თუ როგორ შუქდება ამ არხებზე, კონკრეტულად კი, მთავარ საინფორმაციო გამოშვევებში („მოამბე“, „ქრონიკა“ „ფორმულა 8-ზე“) მიგრაცია.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანია დავადგინოთ, ახდენს თუ არა გავლენას მედიის პოლარიზება რუსების მიგრაციის გაშუქებაზე, ამიტომ ავარჩიეთ ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი, პროსახელისუფლებო და ნეიტრალური ტელეარხები. ნეიტრალურად მივიჩნიეთ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ - როგორც ერთ-ერთი ყველაზე დაბალანსებული ტელევიზია ქართულ მედია სივრცეში, პროსახელიუფლებო მედიად მოვიაზრეთ ტელეკომპანია „იმედი“, ხოლო ტელეკომპანია „ფორმულა“ - ავარჩიეთ, როგორც ნაკლებად რადიკალური ოპოზიციური არხი.

კვლევის პროცესში ერთმანეთს შევადარეთ აღნიშნული ტელეარხების მიერ 2022 წლის სექტემბრიდან-დეკემბრის ბოლომდე შექმნილი პროდუქცია. ეთერში გასული სიუჟეტები, რეპორტაჟები და ნიუსები შევისწავლეთ კონტენტ-ანალიზის გამოყენებით, რომელმაც ხელი შეგვიწყო, გაგვეანალიზებინა და შეგვეჯამებინა საძიებო თემასთან დაკავშირებული მონაცემები კოდირების სახელმძღვანელოს დახმარებით. აგრეთვე, გამოვიყენეთ ნახევრად-სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ, რათა კომპეტენტური პირების დახმარებით დამატებითი ინფორმაცია მიგვეღო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თეორიულ ჩარჩოდ გამოვიყენეთ „ფრეიმინგის თეორია“, რომელიც დაგვეხმარა, სწორად დაგვესვა აქცენტები, გამოგვეკვეთა ის „ფრეიმები“, რომლებიც მედიასაშუალებებმა გამოიყენეს რუსების მიგრაციის გაშუქებისას.

მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბდა საკვლევი კითხვები:

- რა სიხშირით შუქდება რუსეთის მოქალაქეების მიგრაციის საკითხი?
- რამდენი დრო ეთმობოდა თითო სიუჟეტს?
- როგორია სიჟეტის ხასიათი: პოზიტიური თუ ნეგატიური?
- რა მესიჯი იკვეთება სიუჟეტში?
- რამდენად დაცულია მიგრაციის საკითხების გაშუქების სტანდარტები?
- როგორ მოიხსენიებდნენ ჟურნალისტები რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოში ჩამოდიოდნენ?
- დაცული იყო თუ არა ბალანსი?

მიგრაციის გაშუქების სტანდარტების ანალიზი

როგორც TDI-ს მიერ შემუშავებულ გზამკვლევში ვკითხულობთ, მიგრაციის პრობლემატიკის გაშუქებაში მედიას დიდი როლი აქვს. ქართული მედია ამ საკითხების გაშუქების აუცილებლობის წინაშე დადგა 2022 წელს (IDFI), როცა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საომარი მოქმედებები წამოიწყო უკრაინის წინააღმდეგ და მიგრანტების პირველი ნაკადი საქართველოს საზღვრებს მოადგა, რის მიზეზადაც IDFI რამდენიმე შესაძლო მიზეზს ასახელებს, კერძოდ - რუსები გაურბოდნენ იმ სანქციებს, რომლებიც დააწესეს რუსეთში, ისინი გაურბოდნენ ომს, გაურბოდნენ რეჟიმს და სხვა. თუმცა ჩვენ საკვლევ პერიოდად ავირჩიეთ 2022 წლის სექტემბერ-დეკემბერი, რასაც თავისი წინაპირობა ჰქონდა. კერძოდ, ვლადიმერ პუტინმა 2022 წლის 21 სექტემბერს ქვეყანაში სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა. მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო რუსეთის მოქალაქეები საკუთარი ქვეყნიდან გაქცევას შეეცდებოდნენ. იმის ფონზე, რომ ევროკავშირმა მათთვის ვიზების გაცემა გაამკაცრა, ზოგიერთმა ქვეყანამ კი – საერთოდ შეზღუდა, საქართველოსკენ წამოსვლა მათთვის ყველაზე მარტივ ალტერნატივად რჩებოდა. პუტინი თავის გამოსვლაში სამხედრო გაწვევას ამართლებდა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო რუსეთის მოქალაქეების შემოდინების მეორე ტალღა საქართველოში, რასაც აშუქებდა ზემოთ აღნიშნული სამივე ტელეარხი. მიგრაციის გაშუქების სახელმძღვანელო - „მიუთითებს, რომ ასეთ დროს უმნიშვნელოვანესია, რომ საზოგადოებას მიეწოდებოდეს სუბიექტურობისგან დაცლილი ინფორმაცია.

რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის საშუალებით, ჩვენ შევძელით, რომ დაგვედგინა, თუ რამდენად ხშირად ან სისტემატიურად აშუქებდა ტელემედია რუსების მიგრაციას საქართველოში, რა სახის ხარვეზები და ტენდენციები გამოიკვეთა გაშუქებისას.

საქართველოში რუსების მიგრაციასთან დაკავშირებით თითოეულ ტელეარხზე ეთერში გავიდა გარკვეული რაოდენობის მასალა, რომელშიც გამოიკვეთა ტენდენციები.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ამ პერიოდში მიგრაციის თემაზე შემოგვთავაზა - 4, „იმედის“ ტელევიზიამ - 3, ხოლო „ფორმულამ“ - 5 სიუჟეტი.

მიგრაციის გაშუქება ყველაზე აქტიურად ხდებოდა 21 სექტემბრიდან. „პირველ არხზე“ ხშირი იყო პირდაპირი ეთერის საშუალებით ინფორმაციის გადმოცემაც. კერძოდ, 2022 წლის 27 სექტემბრის სიუჟეტი იყო შედარებით ვრცელი - 7:39 წუთიანი და საქართველოს საზღვარზე მყოფ რუსეთის მოქალაქეებს აქაც რუსეთის მოქალაქეებად მოიხსენიებდნენ. ამავე სიუჟეტში გვხვდება ინტერვიუ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან, რაც ხელს უწყობს მხარეების დაბალანსებას. სიუჟეტები დაცლილია სუბიექტურობისაგან და უფრო იხრება ნეგატიური ხასიათისკენ, რაზეც მიუთითებს ჟურნალისტების მდგომარეობა, გამომეტყველება და გარემო, რომელშიც მათ უწევდათ მუშაობა.

„იმედის“ სიუჟეტები კონკრეტული ფაქტორებით გარკვეულწილად წააგავდა „პირველი არხის“ სიუჟეტებს. განსხვავება ისაა, რომ ჟურნალისტები „იმედზე“ მიგრირებულებს მოიხსენიებდნენ როგორც - „რუსეთიდან გამოქცეულ ადამიანებს“. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტელეარხზეც 27

სექტემბრიდან დაიწყო აქტიურად გაშუქება რუსეთის მოქალაქეების მიგრაციისა. ძირითადად, ამ საკითხზე ინფორმაციის გადმოცემა ხდებოდა სიუჟეტებისა და პირდაპირი ეთერის საშუალებით. თითო სიუჟეტი გრძელდებოდა დაახლოებით 5 წუთამდე. აღინიშნებოდა ხარვეზი - მათ ჰყავდათ გამოკითხული ხელისუფლების წარმომადგენელი პირები - შსს-ს მინისტრი, ასევე ირაკლი კობახიძე, თეა წულუკიანი და სხვა, მაგრამ არ ჰყავდათ გამოკითხული ოპოზიციის წარმომადგენელები და ამ სიუჟეტებში იკვეთებოდა გარკვეულწილად ინფორმაციის პოლარიზება. „ოპოზიციის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა საერთოდ არ შეესაბამება რეალობას“. საინტერესოა ისიც, რომ სექტემბრიდან ნოემბრამდე ინტერესმა იკლო ამ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად, იკლო სიუჟეტების რაოდენობამაც. რაც შეეხება ეთიკურ მხარეს, ჟურნალისტები იცავდნენ მიგრაციის გაშუქების პრინციპებს. როგორც სხვა აღნიშნულ ტელევიზიებში, ისე „იმედზეც“ ჟურნალისტების ხმის ტონალობა იყო მონოტონური.

სიუჟეტების ხასიათი შეიძლება ითქვას, რომ უფრო ნეგატიური იყო, რაც არ იწვევს გაკვირვებას, რადგან ICDMP-ს სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, რომ მიგრაციის გაშუქებისას, სიუჟეტები უფრო უარყოფით ხასიათს ატარებს, ვიდრე დადებითს.

აღსანიშნავია, რომ ტელეარხ „ფორმულაზე“ ამ საკითხის გაშუქება ასევე 27 სექტემბერს დაიწყო. მათი განსხვავებული პოზიცია 2022 წლის 27 სექტემბრის სიუჟეტის სათაურშიც ჩანს - „საფრთხედ აღქმული მიგრაცია“. აგრეთვე, აქაც იკვეთება ტენდენცია, რომ სექტემბერში ინტერესი დიდია და სიუჟეტებიც ძირითადად ამ თვეში კეთდებოდა, ხოლო ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში უმეტესწილად ნიუსში, ისიც სიახლის შემთხვევაში, შუქდებოდა ხოლმე. ჟურნალისტების მეტყველება აშკარად განსხვავებული, შედარებით დაძაბულია ზემოთ ნახსენები ორი არხის ჟურნალისტებისაგან განსხვავებით. მათ გამოკითხული ჰყავდათ სხვადასხვა მხარე, თუმცა ხაზგასასმელია, რომ ოპოზიციური რესპონდენტების რაოდენობა გაცილებით დიდი იყო და ვთვლი, ეს დისბალანსს ნამდვილად იწვევს, რაც მიგრაციის გაშუქების ნორმის აშკარა დარღვევაა. ასევე, ჟურნალისტები მიგრირებულ რუსებს მოიხსენიებდნენ როგორც რუსეთის მოქალაქეებს. ქრონომეტრაჟი სიუჟეტებისა მერყეობს 3-დან 8 წუთამდე. მთავარი საინფორმაციო საშუალება იყო სიუჟეტი და პირდაპირი ეთერი.

აღსანიშნავია, რომ სამივე ტელეარხზე დაირღვა მიგრაციის გაშუქების მე-4 პრინციპი - ინფორმირებული თანხმობა.

„მიგრანტთა ხმა, იმის მიუხედავად, სამართლებრივი საფუძვლის მქონე მიგრანტები არიან თუ არა, ხშირად უგულებელყოფილია, ან ნაკლები ყურადღება ექცევა და გაშუქებისას ხშირად „მსხვერპლის“ დონემდე დაჰყავთ. ჟურნალისტებმა თავიდან უნდა აიცილონ ამ ადამიანთა წარმოდგენა“. თითოეულ სიუჟეტში გამოიკვეთა რუსი მოქალაქეების „მსხვერპლად“ წარმოჩენის ტენდენცია, რაც ეწინააღმდეგება ნორმას. ვთვლით, რომ ამგვარმა დარღვევამ შესაძლოა, საზოგადოებაში არასწორი ასოციაციები წარმოშვას - თითქოს ისინი აიძულეს, ასე მოქცეულიყვნენ.

როგორც აღვნიშნეთ, ეს დარღვევა გამოიკვეთა სამივე ტელევიზიაში, რაც არ ჯდება მიგრაციის გაშუქების პრინციპებში.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო ჩავრღმავებოდით ამ საკითხს, ჩავატარეთ სტრუქტურირებული ინტერვიუ თითოეული არხის ჟურნალისტთან და მივიღეთ გარკვეული შედეგები. მათ დავუსვით იდენტური კითხვები:

- როგორია სიუჟეტის ხასიათი - პოზიტიური თუ ნეგატიური? რატომ პოზიტიური? რატომ ნეგატიური?...
- რა სახის ჟურნალისტური პროდუქტი გამოიყენება უმეტესწილად ამ საკითხის გასაშუქებლად და რატომ?
- ერთხელ გაშუქებულ თემას მიჰყვებით თუ არა ბოლომდე?
- საიდან მოიპოვებთ სტატისტიკურ მონაცემებს?

თითოეული გამოკითხული ჟურნალისტი მუშაობდა რუსეთის მოქალაქეების მიგრაციის თემაზე, იმყოფებოდნენ ლარსის გამშვებ პუნქტზე და უშუალოდ აკვირდებოდნენ მიმდინარე მოვლენებს. აღსანიშნავია, მათი პასუხები გარკვეულწილად, ერთმანეთს დაემთხვა. რუსეთის მოქალაქეების მიგრაციის საკითხი შუქდება მისი აქტუალურობის მიხედვით. სიუჟეტის მესიჯი არის ის, რომ მიაწვდინონ საზოგადოებას ინფორმაცია, ხოლო რამდენად დადებითად და უარყოფითად აღიქვამს ამას ადამიანი, ეს მასზეა დამოკიდებული. სტატისტიკური მონაცემების წყაროდ თითოეულმა რესპოდენტმა შინაგან საქმეთა სამინისტრო დაასახელა. ისინი აღწერდნენ, თუ როგორი რთული სიტუაცია იყო ლარსზე და როგორ პირობებში უწევდათ მუშაობა. ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტის, ნიკა საჯაიას, შეფასება ზემოაღნიშნულ კითხვეზე, ასეთია. იგი ამბობს, რომ მათთვის სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია, ოღონდ არის ურთიერთგამომრიცხავი სტატისტიკა. „მე რომ ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნტქზე ვმუშაობდი, მაშინ საზოგადოება მეტად დაინტერესებული იყო, თუ რუსეთის რამდენი მოქალაქე შემოდიოდა ყოველდღიურად. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები განსახვავებული იყო და უფრო დაბალ მაჩვენებელს აჩვენებდა, აბსოლუტურად განსხვავებული იყო, რუსეთის ფედერაციის მონაცემები. ვლადიკავკაზის შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებდა ხოლმე ასევე ინფორმაციას და მე, როგორც ჟურნალისტს, მიწევდა ამ ორი წყაროდან მიღებული ინფორმაციის გავრცელება. ჩემთვის სანდო მონაცემები არც ერთი არ ყოფილა, რადგან ვხედავდი, რომ მართლა ბევრი ადამიანი გადმოდიოდა და შსს-ს მონაცემები აშკარად შემცირებული იყო. ასევე აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ლარსის სასაზღვროდან კი არა, ბაქოსა და ერევანში მიფრინავდნენ და იქიდანაც შემოდიოდნენ. მიკვირდა ასევე რუსეთის ფედერაციის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რადგან ვერ ვხვდებოდი, მართალი რომც ყოფილიყო, რატომ აწყობდათ მისი გავრცელება“ - გვითხრა ნიკა საჯაიამ. იგი აღნიშნავს, რომ ამ ორი წყაროს გარდა, გუგლის მონაცემებსაც იყენებდა და აკვირდებოდა რუკას, სადაც გაწითლებული ადგილები ნიშნავდა, რომ პუნქტზე საცობი იყო და ე.ი. ბევრი ადამიანი მოდიოდა. აღსანიშნავია, რომ ლარსის საზღვარი მათთვის ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი გზაა, რადგან ერთადერთი ღია სახმელეთო საზღვარია მათთვის. „როდესაც, პუტინმა მობილიზაცია გამოაცხადა, მე, რა თქმა უნდა, იმ დღესვე წავედი გამშვებ პუნქტთან და დაახლოებით საღამოს 7 საათზე ვიყავი ადგილზე. იქ ადგილმდებარეობა ისეთია, რომ საზღვრის იქით რა ხდებოდა, ამას ვერ ხედავდი, ამიტომ რუკაზე ვნახულობდი, პირველ დღეს 2 კილომეტრიანი საცობი იყო, მეორე დღეს უკვე 8

კილომეტრიანი, ხოლო, დანარჩენი 2 კვირა კი - 30 კილომეტრიანი. მაყურებლისთვისაც აღქმადი რომ ყოფილიყო, პირდაპირ გუგლის ბოლო მონაცემებს ვაჩვენებდით ხოლმე. შემდეგ კი ვამატებდით, რომ, ამა და ამ წყაროს ინფორმაციით, ამდენი ადამიანი გადმოვიდა. თუ სხვა წყაროც არსებობდა, იმასაც ვუთითებდი“ - ღნიშნავს ის.

საქართველოს შსს იმის სტატისტიკასაც აწარმოებდა, თუ რამდენმა გადმოკვეთა საზღვარი, მაგრამ საქართველო უბრალოდ გამტარი გზა იყო. ჟურნალისტები ამ ინფორმციასაც ავრცელებდნენ, რაც ოფიციალურ განცხადებას ეყრდნობოდა. ამ თემაზე კომენტარის მოპოვება ხელისუფლებისგან ადვილი არის თუ არა, ნიკა პასუხობს, რომ ძალიან ძნელია. როგორც ის ამბობს, ლარსზე, ადგილობრივი მედიის გარდა, საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებიც (Sky news, CNN-ის ბიურო, ესპანური საზოგადოებრივი მაუწყებელი) იყვნენ, რომელთაც კომენტარი უნდოდათ ოფიციალური პირებისგან, პრემიერმინისტრისგან, პრეზიდენტისგან შინაგან საქმეთა მინისტრისგან, თუმცა, ისინი არ გადიოდნენ კონტაქტზე, მიუხედავად საერთაშორისო ინტერესისა. „ჩვენთვისაც, ადგილობრივი მედიისთვის, ცხადია უფრო პრობლემური იყო ეს საკითხი და ვჯერდებოდით პარლამენტში გაკეთებულ განცხადებებს. შემდგომ, როდესაც შეიმუშავეს გზავნილები, ე.წ. message box-ები, უკვე კეთდებოდა განცხადებები, მაგრამ ინფორმაციის დასაზუსტებლად ან კითხვებისთვის მათგან კომენტარის აღება, პრობლემა იყო. რედაქცია რუსეთ-უკრაინის ომის ამბებით მუდმივად ინტერესდება და ახლა გაცილებით მეტად, რადგან საქართველოსა და რუსეთს შორის ფრენები უნდა აღდგეს. ამ თემაზე ჟურნალისტები ამზადებენ სიუჟეტებს, პირდაპირ ეთერებს, გადაცემებში შუქდება ანალიტიკური მიმართულებით. ვაკეთებთ ასევე რეპორტაჟებს, რაც გაცილებით დიდია, ვიდრე სტანდარული სიუჟეტი. ვიყენებდით რუსი მოქალაქეების კომენტარებსაც.. აღსანიშნავია, რომ ისინი არ იმალებიან, გესაუბრებიან, თუმცა სიტყვა „ომს“ თუ ახსენებ, რადიკალურად იცვლებიან, მაგალითად გვთხოვენ, რომ სახე არ გამოვაჩინოთ. მე უფრო ხშირად მთანხმდებოდნენ კომენტარზე, ვიდრე საერთაშორისო მედიას, თუმცა ყოველთვის კითხულობდნენ, თუ ვინ ვიყავი, ხომ არ ვიყავი რუსული მედია, ალბათ შიშის ფაქტორიდან გამომდინარე. ყოფილა შემთხვევა, რომ ჩაგვიწერია და შემდეგ მობრუნებულა და უთხოვია, რომ ან არ გაგვეშვა ეთერში, ან სახე დაგვეფარა. ძირითადად ამას აკეთებდნენ კაცები, რომლებსაც სწავლება ჰქონდათ გავლილი ან იყვნენ ყოფილი სამხედროები“ - ამბობს ის.

რაც შეეხება, რუსი მოქალაქეების შემოსვლით შეცვლილ ეკონომიკურ მდგომარეობას, ნიკა ამბობს, რომ ეკონომიკაში კარგად ვერ ერკვევა, მაგრამ ამას აქვს დროებითი ეფექტი. „ისინი სანქცირების გვერდის ავლითაც ახერხებენ რაღაცების გაკეთებას, მაგალითად, ფულს ურიცხავენ ქართველებს, პირობითად აძლევენ 50 ლარს, ქართველები მოგებას ნახულობენ. თავად მე კითხვები მიჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენადაა ეს საკითხი შესწავლილი უსაფრთოების თვალსაზრისით. მედიას არაერთხელ დაუფიქსირებია, რომ საზღვარი გადმოუკვეთავს მას, ვინც იმყოფებოდა ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ეს უკვე აშკარა კანონის დარღვევაა. ასევე პირადად მე ჩავწერე არაერთი სამხედრო, ჩვენს ქვეყანაში გადმოსული, ამიტომ ისინი პოტენციური საფრთხის შემცველნი არიან. ჩვენ კი არ გვაქვს ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ან სხვა უწყება რამდენად შეისწავლის ასეთ შემთხვევებს. რაც შეეხება, ეთიკურ ნორმებს, კი ვიცავთ. პირველ რიგში, როდესაც გადმოდიან ოჯახები ან არასრულწლოვნები, პირდაპირ ჩართული

კამერით მე არ მივდიოდი და ვეკითხებოდი, თუ სურდათ გადაღება. ასევე ვაზუსტებდი, რომელი ოლქიდან იყვნენ, რადგან ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებს, მაგალითად, დაღესტნიდან, შემოსვლა აკრძალული ჰქონდათ, მაშინ, როცა მოსკოვში მცხოვრები უპრობლემოდ შემოდიოდა.“ , - ამბობს ნიკა საჯაია.

რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტ თეონა ხუბულავას, ისიც აქტიურად მუშაობდა რუსეთ-უკრაინის ომის გავლენაზე ჩვენი ქვეყნისთვის. ის ამბობს, რომ ეს ის თემა არაა, რომელიც ინტენსიურად შუქდება. „ყველაზე აქტიური იყო ეს საკითხი მაშინ, როცა ლარსიდან გადმოდიოდნენ რუსეთის მოქალაქეები, რაც ჩვენს ქვეყანაში დიდი ინტერესის საგანი იყო ვინაიდან ლარსის საბაჟო იყო საკმაოდ დატვირთული. ზოგადადად, კი ჩვენ არ დავდივართ და ყოველდღე არ ვამოწმებთ რამდენი მოქალაქე შემოდის საქართველოში“, - ამბობს ის. თუმცაღა, დასძენს, რომ იმ პერიოდში იმყოფებოდა ლარსის გამშვებ პუნქტთან, რის შედეგადაც იღებდა პირველად მონაცემებს. თეონა აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში საკმაოდ დიდი ვნებათაღელვის საგანი იყო აღნიშნული საკითხი და შესაბამისადაც აშუქებდნენ, მას შემდეგ, ინტერესიც ჩაცხრა და თუ რაიმე სიახლე იქნება ამასთან დაკავშირებით, მხოლოდ მაშინ აშუქებენ. ასევე, მან აღნიშნა, რომ სიუჟეტის აღქმა მაყურებელზეა დამოკიდებული და შესაძლოა, ზოგიერთმა ეს ნეგატიურად, ზოგმა კი პოზიტიურადაც აღიქვას. მისივე თქმით, ძირითადად გამოიყენებოდა ჟურნალისტური პროდუქტის ერთ-ერთი სახე - სიუჟეტი და უმეტესწილად ის ლაივის საშუალებით აწვდიდა მაყურებელს ინფორმაციას. ერთხელ გაშუქებულ თემას მიჰყვებიან იქამდე, სანამ აქტუალურია და ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა.

ჩვენ, ასევე, გავესაუბრეთ ტელეარხ „იმედის“ ჟურნალისტს, მანჩი გაბელიას, რომელიც აქტიურად იყო ჩართული მიმდინარე მოვლენებში და აღნიშნავს, რომ ამ ინფორმაციის გაშუქება ხდებოდა მაშინ, როდესაც ყველაზე აქტუალური და ახალი იყო. ისიც ასევე იმყოფებოდა ლარსის გამშვებ პუნქტთან და ლაივ-ჩართვის საშუალებით აწვდიდა უახლეს ინფორმაციას საზოგადოებას. ხოლო, რაც შეეხება, მიგრირებულ რუსთა რაოდენობას საქართველოში, შსს-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკას ეყრდნობოდნენ. მან ასევე დასძინა, რომ სიუჟეტსა და ლაივ ჩართვებს ყველაზე ხშირად იყენებდნენ ინფორმაციის გადმოსაცემად. უმეტესად იგი სწორედ ადგილზე იმყოფებოდა. გაშუქება ხდებოდა იქამდე, სანამ რუსების მიგრაციის საკითხი საქართველოში მინელდებოდა, მას შემდეგ ინტენსიურად აღარ ადევნებენ თვალს მიმდინარე მოვლენებს.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ ჟურნალისტს რაოდენობასა და ზუსტ მონაცემებთან დაკავშირებით ანალოგიური პასუხები ჰქონდათ.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სიუჟეტებში გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია - ქრონომეტრაჟი ამ სიუჟეტებისა იყო ძირითადად 1-დან 5 წუთამდე, აგრეთვე სექტემბრისა და ნოემბრის თვეში იყო ყველაზე მეტი ნიუსი რუსეთის მოქალაქეების მიგრაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, 2022 წლის 28 სექტემბრის სიუჟეტში - „ვითარება ლარსის საბაჟო გამშვებ პუნქტზე“, ჟურნალისტები იყენებდნენ საერთაშორისო სამართლის შესაფერის ნორმებს, დაცული და გათვალისწინებული იყო ჟურნალისტური ეთიკური ნორმები და, ICMPD-ს სახელმძღვანელოს თანახმად, მიგრაციის გაშუქებისას აუცილებელი ფაქტორები. ჟურნალისტების ხმის ტონალობა არის მონოტონური, არ

ჩანს მათი პიროვნული დამოკიდებულებები აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით. ისინი მიგრაციაში მყოფ რუსებს - რუსეთის მოქალაქეებად მოიხსენიებენ. მათ ჰყავდათ გამოკითხული რუსეთიდან შემომავალი მოქალაქეები, თუმცაღა არ ჰყავდათ გამოკითხული ოპოზიციური სპექტრი, ამ შემთხვევაში პარტია - „დროა"-ს წარმომადგენლები, რომლებიც სწორედ სასაზღვრო პუნქტთან იმყოფებოდნენ, რაც იწვევს დისბალანსს მხარეებს შორის.

დასკვნა

როგორც აღვნიშნეთ, გამოვყავით საკვლევი კრიტერიუმები, დავიხმარეთ ზემოთ აღნიშნული სახელმძღვანელოები, რომლის მიხედვითაც შევაფასეთ მოცემული ტელეარხების ჟურნალისტური მასალები.

კვლევის შედეგად, მივედით შემდეგ დასკვნამდე: ჩვენ მიერ გაანალიზებულ ჟურნალისტურ მასალაში ძირითადად შემდეგი სახის ხარვეზები ჭარბობდა:

საწინააღმდეგო აზრების დაფიქსირების ნაკლებობა. ეს პრობლემა ძირითადად მეტად გამოიკვეთა ორ უკიდურესად პოლარიზებულ მედიაში - „იმედსა" და „ფორმულაზე". „ტელეიმედზე" გამოკითხულთა უმეტესობა იყო ხელისუფლების წარმომადგენელი პირები- შინაგან საქმეთა მინისტრი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, მაშინ, როცა ოპოზიციის წარმომადგენლებისგან პრაქტიკულად არ ჰქოდათ კომენტარი. რაც შეეხება, „ფორმულას", აქ, პირიქით, მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლები ჰყავდათ წყაროებად, ხოლო, თუ პროსახელისუფლებო პირისგან ჰქონდათ ინტერვიუ, ძალიან მცირე დროს უთმობდნენ მათ.

მეორე და ასევე მნიშვნელოვანი ხარვეზი, ეს იყო ზოგიერთი ჟურნალისტის მიერ საკითხის დრამატულად წარმოჩენა. აღნიშნული ხარვეზი ძირითადად „ფორმულაზე" შეიმჩნეოდა. მათ ჟურნალისტებს ზედმეტად დაძაბული ტონი ჰქონდათ, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა იმდროინდელ სიტუაციას. ეს ხარვეზი მაშინ უფრო თვალსაჩინო ხდება, როდესაც ჟურნალისტების სახელმძღვანელოში ამოვიკითხავთ, რომ ჟურნალისტმა სენსაცია არ უნდა ეძებოს, არამედ გამოხატოს თანაგრძნობა და სიტუაცია აღწეროს ისე, როგორც რეალურად არის.

კიდევ ერთი ხარვეზი, რომელიც არღვევს მიგრაციის გაშუქების სტანდარტებს, ესაა ქვეყანაში შემოსული მოქალაქეების „მსხვერპლის" როლში წარმოჩენა. ეს პრინციპი უმეტესწილად სამივე ტელეარხზე დაირღვა, თუმცა „ფორმულას" სიუჟეტებს თავად სათაურებითაც კი განარჩევდით, მაგალითად , „საფრთხედ აღქმული მიგრაცია". თავად ჟურნალისტები ჩართვების დროს კი ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ რუსეთის მოქალაქეები გამოექცნენ მათი ქვეყნის სასტიკ რეჟიმს.

ბიბლიოგრაფია:

1. ICMPD. (2021). *მიგრაციის გაშუქება.* ვენა: ICMPD
2. Business Media, 19 აპრ, 2023. *რუსული მიგრაციის ეფექტი* [ვიდეო] https://bm.ge/news/rusuli-migraciis-efeqti/39408
3. IDFI. (2022). *ტურიზმი თუ მიგრაცია? (რუსეთის მოქალაქეების საქართველოში დარჩენის მაჩვენებელი- 2022 მარტი- ივნისი).* თბილისი: IDFI
4. UNHRC. (2018). *Reporting on Migration and Refugees.*
5. Ethical Journalism Network. (2016). *Five-point guide for migration reporting.*
6. ფორმულა, 27 სექტ, 2022. *საფრთხედ აღქმული მიგრაცია* [ვიდეო] https://formulanews.ge/News/77726?fbclid=IwAR0rXM7ZcCAB9kJyIy8WPugHsMZiKH-hDPxJUiRy8lGYVfLF6fFuO81MQwc
7. პირველი არხი. (2021). "*NDI-ს კვლევის მიხედვით, ტელევიზიით ინფორმაციის მიმღებთა რაოდენობა 12 პროცენტით შემცირდა, ინტერნეტით ინფორმაციის მიღების მაჩვენებელი კი 11 პროცენტით გაიზარდა."*
8. CRUX. (2022). *Live 1 Russian President Vladimir Putin's Address To The Nation Amid Setbacks In Ukraine War* [ვიდეო] https://www.youtube.com/watch?v=3A3Q2Je5seM
9. პირველი არხი, ოქტ. (2022). *ვითარება ლარსის საბაჟო გამშვებ პუნქტზე* [ვიდეო] https://www.youtube.com/watch?v=ASRIGubeqNg
10. პირველი არხი, (2022). *ვითარება ლარსის საბაჟო - გამშვებ პუნქტზე* [ვიდეო] https://www.youtube.com/watch?v=ng-MQa61h6k
11. TV IMEDI, (2022). *სამხედრო აღრიცხვა და სამობილიზაციო პუნქტი ლარსზე* [ვიდეო] https://www.youtube.com/watch?v=eAeNw-2jP2s
12. TV IMEDI, (2022). *რა ვითარებაა საქართველო- რუსეთის საზღვარზე* [ვიდეო] https://www.youtube.com/watch?v=AgffmPe69sk